23 დეკემბერს, 1866. (4 იანვარი 1867)

№ 43.

პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГАЗЕТИС ФАСИ:

	მაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა	— 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ХЕЛИС-МОЦѢРА МИИЛЕБА: ТФИЛИСШИ „ДРОЕБИС“ РЕДАКЦИИС КАНТОРАША, МЕЛИКИШВИЛИС ДА КАМП. СТАМБАША, ЗАЛАВИНИС ПРОСПЕКТЗЕД, РЕЙТЕРИС САХЛША, С-ДАЦ БЕРЕНШТАМИС ЧИГНИС МАГАЗИНИ ИУО.

ТФИЛИСИС გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

РЕДАКЦИИС КАНТОРАША მიიღება ყოველ-გვარი ГАНЦХАДЕБА სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

РЕДАКЦИИСАГАН.

ХЕЛИС-МОЦѢРА „ДРОЕБАЗЕД“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება ПИРВЕЛИСАВЕ НУМРИДАМ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

ШИНААРСИ: ტფილისი, 22 დეკემბერს.—საქალაქო ამორჩევაზედ.—სასახლის ამბავი.—პოლიტიკა:—ინგლისი.—ოსმალეთი. ევროპა.—ტელეგრამმები.—სხვა და სხვა ამბავი.—სახაზინო განცხადება.—დამატება: სია პირებისა, რომელნიც ქალაქისაგან არიან ამორჩეულნი.

ტფილისი, 22 დეკემბერს.

იქნება ბევრმა არ იცის ჩვენში, რომ მთელი ქართველის ტომი იყოფა რამდენსამე შტოთ; თვითოეული იმათგანი განსხვავდება ხასიათით, ჩვეულებით და მეტადრე ენით. ესენი ერთს შტოს შეადგენენ—კახეთი, ქართლი, იმერეთი, ფშავლეთი, ხევსურეთი, თუშეთი (ოღია თუშების გარდა) და უმეტესი ნაწილი ოსმალოს საქართველოსი; ამათშიაც, რა საკვირველია, სრულებით ერთ გვარი ენა არ არის. მეორეს შტოს ეკუთვნის სვანეთი; მესამეს—სამეგრელო და ლაზისტანი ანუ ჭანეთი. სვანური ენა მეგრელს და ჭანს არ ესმის; მეგრული—სვანს; ერთიც და მეორეც ქართველს. ეს განსხვავება ძველათვე არსებობდა. თვით ინგილოები, თუმცა კახეთის ნაწილს შეადგენენ, მაგრამ კახელებში განსხვავდებიან ..... ინგილოებზე ამის წინათ „დროებაში“ დაბეჭდილი იყო ორი სტატია ინგილოსი და ახლა იმათ შესავსებლათ რედაქციას სურს თავისის მხრითაც მოილაპარაკოს.

საინგილო მდებარებს ალაზანს გაღმა. სულ ძველათ ის შეადგენდა ალბანიის ნაწილს: ასე უწოდდნენ ბერძნები და რომაელნი ახლანდელს შირვანს და დაღისტანს; სომხები კი უწოდდნენ აღვანათ. ალბანია, აღვანი ქართლის-ცხოვრებაში არ არის მოხსენებული. სომხის მწერლები ამტკიცებენ, ვითომც ალბანელნი სომხების ჩამომავალნი იყვნენ და სომხეთის ნაწილს შეადგენდნენ. მაგრამ ეს თქმულება უსაფუძვლოა. სხვა საბუთების გარდა ამას არღვევს ბერძნის გეოგრაფი სტრაბონი: ის გვარწმუნებს, რომ აქ სხვა და სხვა შთამამავლობის ტომი ცხოვრებდა, თვითოეულს იმათგანს ჰყვანდა საკუთარი მეფე და ჰქონდა საკუთარი ენა; იმისის სიტყვით აქ იყო ოც და შვიდი სხვა და სხვა ენა (¹). ქართულის ისტორიით ეს მხარე იყო თავ-და პირველათ ნაწილი ჰერეთისა, სადაც X საუკ. დამდეგამდე სომხური სარწმუნოება არსებობდა და რომელიც მოიყვანა ჩვენს სარწმუნოებაზე დედოფალმა დინარიმ. XI საუკუნის დამდეგს ქვირიკე მეფემ ჰერეთი შეუერთა ქახეთს და აქედამ ის იწოდება ქახეთათ. მთელი მხარე იმან დაჰყო რამდენსამე საერისთაოთ; ორი დააწესა ალაზნის გაღმა, რომელსაც ეწოდა ზაღმა-მხარი. წუქეთში იყო დიდი გუმბათიანი ეკკლესია და აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუხეთისა და შაკიხისა. ძველის გუჯრიდამ სჩანს, რომ ეკკლესიას ამ ადგილში ჰქონია ყმა და მამული, ესე იგი ლაგოდეხში, ზანუხში, ბაზარში, ყუნელიანში, წინ-უბანში და ზანგოთში (¹). XV საუკუნეში, როგორც ვიცით, ალექსანდრე მეფემ საქართველო დაუყო თავის სამს შვილს; ჰერეთი ქახეთით არგუნა უმცროსს, დავითს. იმავე საუკუნის გასულს დავითის შვილმა ზიორგიმ საერისთოები ქახეთში გაუქმა და იმათ ნაცვლათ დააწესა სამოურავოები; ზაღმა-მხარში დასვა სამი მოურავი—ელისენში, წუხეთში და ჭიაურში. ამ დროებში ლეკები, როგორც სჩანს, იშვიათათ აწუხებდნენ ქახეთს და თვით ზაღმა-მხარს: იმათ ხარკათ თურმე ედოთ ყინულის ზიდვა ქავკასიის მთიდამ. (²)

იმათგან შეწუხება მიადგა ქახეთს მე XVII საუკუნის დამდეგიდამ, ესე იგი შაჰ-აბასის დროდამ. 1616 წ. იმან შეუთვალა ლეკებს: „მე მინდა ამოვწყვიტოო ქახეთი; დახოცეთ და დაატყვევეთო, ვინც კი იქიდამ თქვენს მეზობლათ მთებში ამოვიდესო, და მე თქვენ საჩუქრებით აგავსებთო. ლეკები ამ რჩევას შეუდგნენო; თვით შაჰ-აბასი ქახეთში შევიდაო, ძალით დაიპყრაო, აიკლოო, ეკკლესიები გაცარცვაო, ხატები და ჯვრები შემუსრაო და ხალხი დასტყვევა და გადაასახლაო მაზანდერანს, ხორასანს და ფერიას (ბილანში)“ (³). ამ სიტყვებით გვიამბობს ქახეთის უბედურებას ქართლის-ცხოვრება. ზარდა ამისა ამ საგანზე მოგვითხრობენ სომხის მწერალი არაქელ თავრიზელი და მუსულმანი ისკენდერ-მუნჯი, რომელთაც თხზულება ფრანცუზულს ქართლის ცხოვრებაში შემოუტანია უ. ბროსეს (⁴). ორივე ეს ავტორი გასაოცარის დაწვრილებით და თითქმის თანახმათ ქართლის ცხოვრებისა გვიამბობენ, რა გვარათ ააოხრა ქახეთი და რა ძალი ხალხი გადაასახლა შაჰ-აბაზმა სპარსეთში. ისკენდერის სიტყვით, არც ერთს მუსულმანის მფლობელს არ აუკლია ჩვენი მხარე ისე, როგორც შაჰ-აბასმა აიკლო. მარტო ადგილობრივ დახოცილების რიცხვს უჩვენებს ის 60—70 ათასამდე გადასახლებულთ რიცხვს—100 ათასზე მეტს. იმათ მაგიერ შაჰ-აბასის ბძანებით გადმოიყვანესო აღერბიჯანიდამ ქახეთში 15 ათასი კომლი თათარი.

ამას შემდეგ რა გვარათ გაძლიერდნენ ლეკები, რა გვარათ იყო იმათგან შეეიწროებული ქახეთი და მთელი საქართველო, ეს ყველას გვახსოვს. თავდა პირველათ იმათ შეაწუხეს ზაღმა-მხარი. მრავალი იმათგანი დასახლდა ჭარში, ბელაქანში და იმათ ახლომახლო. აგრეთვე ალაზანზე დასდვეს ბინა ანწუხელებმა, თებელებმა და ყირახის მცხოვრებთა. ჯერ ლეკები დიდის ჯარებით ვერ შემოდიოდნენ; ისინი სცემდნენ აქა-იქ ქურდულათ და მცირე პარტიებით: იტაცებდნენ საქონელს, სტყვევებდნენ, ხოცავდნენ კახელებს. სპარსეთის ხანებიც იმათ მიემხრნენ. „კახელს რომ ლეკი ან თათარი მოეკლაო, ამბობს ვახუშტი, ხანი იმასა სჯიდაო ან თავის გაგდებინებით, ან სისხლის გადახდევინებით. ბიაურს ნება არა აქვსო, რომ მუსულმანი მოკლასო; და თუ ლეკი ან თათარი კლავდაო კახელს, მაშინ არაფერიო: ხანის აზრით, ეს სამართალიაო.“ (²) იმ დროებში თუმცა ჩვენი მხარე ძალიან იყო შეწუხებული ლეკებისაგან, მაგრამ ისე არა, როგორც შემდეგ: იმათ ჯერ შიში კიდევ ჰქონდათ მეფეებისა და ზაღმა-მხრის მოურავებისა. დროს განმავლობაში ჩვენი ძალა უფრო და უფრო სუსტდებოდა, ლეკების ძალა კი—ძლიერდებოდა. იმათ დაიწყეს დიდის პარტიებით ტანტალი; ბინაობა უფრო ჭარში ჰქონდათ, და აქედამ მოეფინებოდნენ ხოლმე საქართველოში, ქახეთში, სომხეთში, ქართლში. მთელი დაღისტანი ფეხზე იდგა და უბედურს ჩვენს მხარეს სცემდა. ისინი ჩამოიკრიფებოდნენ ზახურიდამ ელისუზე, სულილიდამ ყუბზე, უაშხაჩიდამ ნუხზე, მისილდახიდამ ბელაქანზე. თავისუფალი მისვლა-მოსვლა საქართველოში აღარსად იყო: მთა, ბარი, ტყე, გზა, ქალაქებისა და სოფლების არე-მარეები დაჭერილი იყო მტრისაგან. იმათ ჰყვანდათ ბელადები, რომელთაც ყოველივე ადგილი დაწვრილებით იცოდნენ. თვით ყუნძახის მთავარი, ავარიის ხანი, დიდის ჯარით ხან აქ სცემდა, ხან იქ. იქამომდე მივიდნენ კახელები, იმოდენათ ამოიკვეთა იმათში მამულის სიყვარული, რომ ბევრი იმათგანი სტოვებდა მამულს და მიემხრობოდა ლეკებს, და თავიანთს ტომს თვითონვე იკლებდნენ.

ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი დოკუმენტები, რომელნიც XVIII საუკუნის დამდეგს შეეხებიან: ეს არის წიგნები იმამ-ყულიხანისაგან და თეიმურაზისაგან მიწერილი სპარსეთში ჰუსეინ-ყული-ხანთან ანუ ვახტანგთან, რომელიც იმ დროს ირანის სპასალარათ და აღერბიჯანის ბეგლარ-ბეგათ იყო. ამ წიგნებში გარკვევით და სულის ამმაშფოთებელის დაწვრილებით არის გამოხატული ქახეთის ბედკრული სვე, იმისი განწირული მდგომარეობა, ლეკების მძვინვარება და სისხლის-სმა. იმამ-ყული-ხანი და თეიმურაზ ეევედრებიან ვახტანგს, რომ მფარველობა და შემწეობა გამოსთხოვოს სპარსეთის შაჰს. ბამოვწერთ იქიდამ რამდენსამე ადგილს. „ჩვენ მუდამ დღე მახვილ ქვეშა ვართო; ლეკებს ძალა უფრო და უფრო ემატებაო; აღარც ერთი კუთხე არ დარჩა, რომ სისხლი არ იღვრებოდესო. თუ თქვენი მეცადინეობა და მეოხება შვებას არ მოგვცემს, ჩვენი საქმე წასულიაო, მხარეს აღარაფერი იმედი არა აქვსრაო..... აქამომდე ჩვენ გვებრძოდნენო მარტო ჭარელნი, თალალნი და პირ-იქითნი ლეკნი; ახლა ბულხადარას ჯარებიც შემოგვესიაო. დაღისტნელებს ბინა პირ-აქეთელს ლეკებთანა აქვთო და იმათ მიიმხრესო ყაბალი, შაქი და სხ. ახლა ჩვენი მტრები ბავაზში დგანანო.... ბავაზელებთან და ზაღმა-მხრის სოფლებთან იმათ მოლაპარაკება დაიწყესო: შაჰის შემწეობას ნუ მოელითო, შაჰის ჯარი დამარცხდაო, სჯობს ჩვენ მოგვემხროთო.... თქვენ იცითო, რომ გლეხს მოკლე ჭკუა აქვსო; და ის მხოლოთ იმას იჯერებს, რასაც თვალითა ჰხედავსო. იმათ მიიღესო მტრის რჩევა და თავიანთ მხარეს ბრძოლა აუტეხესო. არა თუ გლეხნი, ზოგიერთნი თავადნიც იმათ მიეკერძნენო. თუ ამ ზაფხულს არას გვიშველითო, დანაშთენი ქახეთიც გადადგება და ეაი აღერბიჯანსაცა და გარეშე ადგილებსაცაო.... თვით შიგნით-ქახეთი ლეკების მხარეს გადავიდაო...“ (³)

ეს მდგომარეობა დიდ-ხანს არ დამცხრალა, როგორც თვითოეულმა ჩვენგანმა იცის. რა ძალი ჩვენი ტომის ხალხი სხვა და სხვა დროს გადაასახლეს ლეკებმა დაღისტანში, ჩვენ ამაზე ცნობა არა გვაქვს რა. თუ მოვიგონებთ, რამოდენა ადგილებია გაეერანებული, რამდენი სოფელია დაცლილი, მაშინ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ უთვალავი ხალხი ამოუწყვეტიათ და დაუტყვევებიათ. იმ მდგომარეობას რომ ერთი საუკუნეც გაეწია, მთელი საქართველო დაღისტნათ გადაიქცეოდა და დაღისტანი საქართველოთ. ჩვენ ასე ვფიქრობთ. ზაქათალის მაზრაში უამბნიათ ჩვენთვის, სადა და სად ცხოვრებენ აქამომდე და-

---

(¹) Saint-Martin. Memoires sur l' Arménie I. 215—218.

(¹) Hist. de la Géorgie—Introduction et Tables des matières. CXVI, CXIX.

(²) Hist. de la Géor. II. 1 livr. 152.

(³) ib. 163—164.

(⁴) ib. Addition IV. 421—445. V 445—509.

(²) ib. 178.

(³) Hist. dela Géor. II. 2 livr. 415—428.

განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

ლისტანში ქართველების შთ მომავალი ლეკები. ეს ადგილები თურმე არის: ჯინიგა, სუაგილი, წოხური, ბილ-მიწი, მუსლაგა, ხაგი, ძურდულა, შეგურა, მიშილიშა, ეზგილა, ძოთოკლუ, ზერნა, მიქიქა. მუსლაგის მთებში ეკკლესიებიც თურმე არის აქამომდე. თვითონვე იტყვიან ისინი თავიანთს ქართულს შთამომაველობას. ზოგიერთს იმათგანს ძველი ქართული წიგნებიც თურმე აქვთ აქამომდე. ჩვენ ვერ ვიტყვით რამდენათ არის ჭეშმარიტი ეს ფაქტები, რომელიც აქ მოგვყავს. ქარგი იქნებოდა, რომ მცოდნე პირმა ამ საგანზე ნამდვილი ცნობა მოგვცეს. დაღისტანში ბევრი განათლებული ქართველი მსახურებს. ჩვენ იმათ მივმართავთ და ვთხოვთ, ამას ყურადღება მიაქციონ.

(დასასრული შემდეგს ნუმერში.)

საქალაქო ამორჩევაზედ.

„დროების“ №№ 32, 33, 34, 35 იყო დაბეჭდილი უმაღლესად დამტკიცებული წეს-დება ტფილისის ქალაქის საზოგადო გამგეობაზედ; აგრეთვე №№ 37 და 39 იყო დაბეჭდილი პროგრამა, რომელსაც ის წეს-დება მოქმედებაში უნდა შეეყვანა იმ კამისიის საშუალებით, რომელიც ქავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით დაარსდა განსაკუთრებით ამ საქმისთვის.

როცა კამისიამ გაათავა მოწინავე შრომა, რომელიც შეეხებოდა სიების შედგენას და სხვ., შემდეგ პროგრამის თანახმად დანიშნეს დღე ამორჩეულების ამოსარჩევად. ეს მოხდა ნოემბრის ოცდა ცხრას. ნოემბრის ოცდაათს ტფილის ქალაქის მცხოვრებლების ოთხის რიგიდამ ამორჩეულნი სობრანიის ზალაში მიიწვიეს; ისინი რიცხვით ოთხასი კაცი იყვნენ. აქ ტფილის ქალაქის სამოქალაქო გუბერნატორი კამისიით თურთ შეეგება ამორჩეულებს შემდეგის სიტყვითა:

„უავგუსტესის ნამესტნიკის ნებით დაწესებულმა კამისიამ, რომელიც მოქმედებაში შეიყვანს ხელმწიფისაგან წყალობათ მონიჭებულს ტფილის ქალაქის მცხოვრებლებისთვის წეს-დებას, გუშინ თავის წევრების საშუალებით გადმოქცათ თქვენ ჩვენება, თუ რამდენათ სამჯიმო და პატიოსანია ის მოვალეობა, რომელიც მიენიჭა ქალაქის მცხოვრებლებსა. მე რომ უფრო არ მყვარებოდა ტფილის ქალაქის მცხოვრებლები და იმათ საჭიროებაზედ რომ დიდათ არა ვზრუნავდე, რაც გუშინ წოდებაებს შორის არ ითქვა, მეტს აღარას დავუმატებდი. მაგრამ რადგანაც ეს ჩემი გული სავსეა გულახდილის სიყვარულით ქალაქისადმი—რომელშიაც ამდენი წელი გამიტარებია—ამისთვის, მოწყალენო ხელმწიფენო, როგორც ქალაქის წარმომადგენლებს, არ შემიძლიან არ გაგიცხადოთ, თუ რამდენათ მსურს ახალის წეს-დების წარმატება, რომელიც ხელმწიფის მპყრობელმა ნებამ ქალაქს მიანიჭა.

„არ დაგიფარავთ, რომ იმ კეთილ მდგომარეობის დამყარება, რომლის იმედიც არის, სრულებით თქვენზედ ჰკიდია. თქვენ უნდა აღიესოთ სამოქალაქო კეთილ-მოქმედებითა და ამორჩიოთ ისეთი მოქმედნი გვამნი, რომლებსაც შეეძლოთ მომავალის თავიანთის შრომის დაფასება და ამასთანავე იმათ უნდა აღმოაჩინონ შეუზარებელი გულსმოდგინეობა, რომ იმით ისინი შეეწიონ მთავრობას, და გამოცდილებისამებრ უფრო სრული შექმნან და, რაც შეიძლება, გაამჯობინონ ახალი წეს-დება. თქვენი მომავალნი მშრომელნი, რომლებსაც თქვენ მოუწოდებთ საზოგადო საქმის შესაწევნელად, იქნებიან ყოველთვის ჩემის აზრის თანახმანი, რადგანაც ჩვენი სურვილი, რომელიც ამ საქმეში ხელსამძღვანელათ გვაქვს, და ჩვენი განზრახვა ერთი და იგივეა: თქვენს მომავალს მშრომელებს მმართებლობაზედ მეტი არ შეუძლიანთ და მეტს მზრუნველობასაც ვერ აღმოაჩენენ ქალაქის კეთილ მდგომარეობის წარმატებისთვის, რომელიც არის მთავრობის განზრახვა და უავგუსტესის ნამესტნიკის სურვილი. ამის დასამტკიცებლათ ურიცხვი მაგალითები თვალწინ გვიდგა.

„მინამ შეუდგებოდეთ თქვენის მოვალეობის ასრულებას, რომელიც თქვენ საზოგადოებამ გარწმუნათ, თქვენ დაიფიცეთ ყოვლის შემძლებელის ღვთის წინაშე, რომ არც ნათესავობითი, ანუ სხვა რაიმე კავშირი და არცარა ვითარი განზრახვა თქვენ არ გამოქმედებთ; არამედ თქვენ უნდა იცავდეთ საქმეს მიუფერებლად და დაამტკიცეთ, რომ თქვენ შეგიძლიანთ დაფასება და ღირსი ხართ ჩვენის საყვარლის მონარხის წყალობისა და უავგუსტესის მისის ნამესტნიკის მზრუნველობისა“.

შემდეგ ყველა ამორჩეულნი, რომლებიც მართლმადიდებელს სარწმუნოებას აღიარებდნენ, ფიცის მისაღებად წავიდნენ გუბერნატორით თურთ და კამისიის ზოგიერთის წევრებით სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში, სადაც ყოვლად უსამღვდელოესი ევსევი, საქართველოს ეკზარხოსი იმ დღეს, ტაძრის დღესასწაულის გამო, იყო მწირველი. იმან უთხრა სიტყვა სემინარიის მოსწავლეებს და შემდეგ მიიქცა ამორჩეულებისკენ. სომხის სარწმუნოების ამღიარებელნი ვიც-გუბერნატორით თურთ და სხვა წევრებით წავიდნენ ეანქის ტაძარში, სადაც ისინი დააფიცა არხიეპისკოპოსმა მაკარიმ და შემდეგ იმათ სიტყვა უთხრა. ყველა წოდებიდამ ამორჩეულების დაფიცებით დაიდვა საფუძველი ქალაქის საზოგადო გამგეობისა, რომელიც ასე ბევრს წარმატებას ჰპირდება ტფილის ქალაქს შემდეგისათვის.

შემდეგ 1-ის დეკემბრიდამ 10-მდე გაგრძელდა მოსამსახურე პირების ამორჩევა სხვა და სხვა ქალაქის დაწესებულებაებში. ამ პირების ამორჩევაზედ „დროების“ NN 40 და 41 იყო მოხსენებული.

ამორჩევა მოხდა ნამდვილის წესისამებრ, როგორც პროგრამაში იყო მოხსენებული. ის წარმოებდა იმ გვარ ბრწყინვალებით, რომელიც შეესაბამება ამისთანა დიდს საქმეს, როგორც ქალაქის წარმომადგენელების ამორჩევა. (*)

ბოლოს 10 დეკემბერს დანიშნეს საერთო კრება ყველა ამორჩეულებისა ქალაქის თავის და იმის კანდიდატის ამოსარჩევად. პროგრამის თანახმად ამ უკანასკნელს ამორჩევაში კამისია სრულად დაესწრო; იმის თავს მჯდომარედ იყო ტფილის ქალაქის სამოქალაქო გუბერნატორი, რომელმაც დაიწყო ამორჩევა შემდეგი სიტყვითა:

„დღეს მე დაიწყებ თქვენთან ლაპარაკს იმ სიტყვებით, რომლითაც გავათავე თქვენ შორის ჩემი საუბარი აძას წინათ, როცა ამორჩევა დაიწყო: ამისთანა ბრწყინვალე ჟამს თქვენ ნუ გამოქმედებთ ნურც ნათესაობითი და მეგობრობითი კავშირი და ნურც ნურა რაიმე მოწადინეობა! ნუ გაგიტაცებთ ნურა გულისთქმა, რომელიც ყოველს კაცსა სჭირს. ავსეთ გული თქვენის თანა-მოქალაქეების სიყვარულითა, და სრული მიუფერებლობით დაასრულეთ ეს თქვენი ამორჩევა; უჩვენეთ ღირსეულთ შორის ღირსეული, რომელიც გახდება თავი იმ გამგეობისა, რომელიც ენით უთქმელის ხელმწიფის წყალობით მოგენიჭათ. ქალაქის მომავალი თავი, რომელიც, ეჭვი არა მაქვს, ღირსეული იქნება, თქვენთან მეც დამაიმედოვნებს, რომ ქალაქის მეურნეობა, ქალაქის ხაზინა და მცხოვრებლების ინტერესი წარმატებას მიეცემიან შემდეგს დროს; მით უფრო რომ მცხოვრებლების კეთილმდგომარეობა ძალიან აფიქრებს მზრუნველს მმართებლობას. ბონიერი მოწადინეობით სავსე და საქმის მცოდნე ქალაქის თავი ერთბამად დააკმაყოფილებს თავის ამომრჩეველების იმედსა და მმართებლობის განზრახვასა, რომელნიც ერთი ერთმანეთში არ განირჩევიან; ერთის და იმავე კეთილის მოწადინეობის ამსრულებელი თავი შეიქნება ნამდვილის სარგებლობის შემძენი საზოგადოებისა, რადგანაც ის ახალის მმართებლობის ყველა დაწესებულებაებს წარმართავს ამ განზრახვის ასასრულებლად; ქალაქის თავს ისე დიდი და მრავალ გვარი მოვალეობა აქვს თქვენსა და მმართებლობის წინაშე, რომ იმის ამორჩევაზედ ყოველი თქვენი თანაგრძნობა უნდა იყოს მიქცეული, და ამ თანაგრძნობას ყოველი თქვენთაგანი უნდა ელოდეს თქვენის ნამდვილის სარგებლობისთვის და საზოგადოებისთვის, რომელმაც თქვენ მოგცათ თავისი რწმუნება“.

რაკი გუბერნატორმა აუხსნა ამორჩეულებს ქალაქის თავის მნიშვნელობა, შემდეგ იმათ უთხრა, რომ დაესახელებინათ ის პირნი, რომელთაც კენჭი უნდა ეყარათ ამ მძიმე თანამდებობაზედ. ამ საფუძვლით კენჭი უყარეს სამს პირსა: ბენერალ-ლეიტენანტს თავადს ბაგრატოვან-მუხრან-ბატონს, გენერალ-მაიორს არწრუნის და სტატსკი სოვეტნიკს თავადს მიხეილ ბებუთოვს. იმათში თეთრის კენჭების დიდი უმრავლესობით ამორჩიეს ქალაქის თავათ გენერალ-მაიორი არწრუნი და კანდიდატათ თავადი მიხეილ ბებუთოვი.

როცა ამორჩევითი სია წარუდგინეს უმთავრესის სამმართველოს უფროსსა, უფალმა ბარონმა ა. პ. ნიკოლაიმ ტელეგრაფით აცნობა დიდს მთავარს ქავკასიის ნამესტნიკს სახელი ამორჩეულებისა: ქალაქის თავის და კანდიდატისა. ისინი დაამტკიცა მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ და ეს შემოთვალა ტელეგრამმითა.

დილით 13 დეკემბერს ყველანი ამორჩეულნი თანამდებობაში, ხმოვანები და ამორჩეულები და იმათი კანდიდატები, შეიკრიბნენ დასაფიცებლათ კლუბის ზალაში, რომელიც იმ-ყოფება მუხრან-ბატონის სახლში. 11 საათზედ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორმა წაიკითხა პირების სია ახსნით, თუ ვინ და ან რომელი რომელს თანამდებობაში დამტკიცდა. ამას შემდეგ იქ დამსწრეები დასაფიცებლათ მოუწოდა.

ამ სახით რელიგიის წესით დაიწყო და გათავდა საქალაქო ამორჩევა, რომელიც დაფუძნებულია ახალს უკეთესს დაწყობილებაზედ; ეს დაწყობილება აძლევს მცხოვრებლების ყველა რიგს ერთბამად მოქმედების ნებას, რომ იმათ შეასრულონ ბევრი კეთილი განზრახვა.

12 საათზედ კრებაში მოვიდა ქავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს უფროსი, რომელსაც წარუდგინა გუბერნატორმა ქალაქისაგან ამორჩეული პირები ყველანი ერთიანად ქალაქის თავიდამ მოკიდებული ამორჩეულებამდე და იმათ კანდიდატებამდე; აგრეთვე წარუდგინა კამისიის წევრები, რომლებმაც აასრულეს თავიანთი მინდობილება. ბარონ ნიკოლაიმ ამათ მადლობა უთხრა მარჯვე და სასარგებლო მოქმედებისთვის ამორჩევის დროს და შემდეგ იქ დამსწრეებს მიუბრუნდა შემდეგი სიტყვითა.

მოწყალენო ხელმწიფენო!

„სასიამოვნო ვალათ ვრაცხავ ჩემთვის, რომ გულ-ახდით მოგილოცოთ საქალაქო ამორჩევის გათავება. ტფილისის ქალაქის საზოგადო გამგეობაზედ ახლად გამოცემულმა წეს-დებამ ამორჩევით პირველად დაიწყო თავისი მოქმედება; ნება მომეცით, რომ განსაკუთრებით თქვენ მოგილოცოთ საზოგადო სამსახურში და თანამდებობაში ამორჩევა, რომელიც მოგენიჭათ საზოგადოების რწმუნებითა. უეჭველად თქვენ გეცოდინებათ, რომ დიდის მთავრის ქავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, ტფილისის ქალაქის საზოგადო გამგეობაზედ გამოცემული ახალი წესდება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალის 1867 წლის 1-ლს იანვარიდამ: ეს დღე და ეს წელი ტფილისის ქალაქის ისტორიაში უნდა დარჩეს ნათელ ფურცლად! საქალაქო ამორჩეულებს შორის ამდენის გვამების ყოფნა, რომლებსაც დიდი ხნით დამსახურებული აქვთ საზოგადოების პატივისცემა, დარჩება იმის სამხიარულო იმედათ. როცა მმართებლობა ადგენდა იმ წესდებას, რომელიც უმაღლესს დამტკიცებას ეღირსა, იმას განსაკუთრებით აზრში ჰქონდა, რაც შეიძლება, საუკეთესო წესის დამკვიდრება ქალაქის საქმეების გასაგებლათ. იმას უნდოდა, რომ ქალაქის საჭიროების საზრუნავად მოეწოდებინა ყველა წოდებანი, რომელთაც სურთ იმისი კეთილ-მდგომარეობა; მმართებლობის აზრი იყო, რომ მოესპო აქამდის ხმარებულის წესდების ნაკლულევანება და საზოგადო თვით-მოქმედებისთვის უფრო ვრცელი ასპარეზი მიენიჭებინა; დასასრულ იმას ესეც სახეში ჰქონდა, რომ მმართებლობის მოთხოვნილება და იმასთან განუყრელი მცხოვრებლების სარგებლობა დაეკმაყოფილებინა. დიდის მთავრის ნამესტნიკის მინდობილებით მე მიმიღია პირდაპირი მონაწილეობა ამ წეს-დების შედგენაში და კიდეც ნებას მივსცემ ჩემ თავს ასე ვიფიქრო, რომ ეს წესდება, როგორც საზოგადო დასაწყისებით, აგრეთვე დაწვრილებითაც, თქვენ, თანამოქალაქეების ამორჩეულებს, მოგანიჭებთ სრულ სიმართლეს, რომ ემსახუროთ, უეჭველად, თქვენთვის ძვირფასს და მახლობელს საქმესა. ის წესი, სისწორე და ბრწყინვალება, რომლითაც თავიდამ ბოლომდის წარმოებდა საქალაქო ამორჩევა, გვაძლევენ საუკეთესო იმედს, რომ შემდეგაც იმ გვარისვე სჯულისადმი პატივისცემით გაგრძელდება ყველა საქალაქო ამორჩეულების და თანამდებობის პირების მოქმედება. იმედია, რომ იმათი შრომა მიიქცევა მხოლოდ იმ ინტერესის მზრუნველობაზედ, რომელიც იმათ მიენდო, და ამ მზრუნველობითაც განისაზღვრება იმათი შრომა. ამ ჟამად გამოცემულის წესდების წარმატებით მოქმედება მმართებლობას მისცემს შეძლებას, რომ იმან შემდეგ გაადიდოს ის თვითგამგეობა, რომელსაც, იმედი მაქვს, ახლა მიეცა მტკიცე და ვრცელი დასაწყისი. უფალნო განსაკუთრებით თქვენზედ იქნება დამოკიდებული ამ იმედის გამართლება. მმართველი აღმასრულებელი უფლება ემორჩილება უზენაესი უფლებით ნაკურთხს სჯულსა და დიდი მონაწილეობით ადგენს თვალ-ყურს ახალის დაწესებულებაების მოქმედებას. ნებას ვაძლევ ჩემს თავს დასასრულ კიდევ დავძინო, რომ მე ყოველს შემთხვევაში ვეცდები გულახდილის თანაგრძნობით შევეწიო თქვენს შრომას, თუ რამე საქმეში საჭირო გავხდები; ამით მე ავასრულებ უავგუსტესის ჩვენის ნამესტნიკის ნებას და ამასთანავე დავაკმაყოფილებ გრძნობას სიყვარულისას, რომელმაც დიდიხანია განუყრელად შემაკავშირა მე ტფილისის ქალაქთან.“

ამ ნაირათ მოხდა ერთი უდიდესი ცელილებათაგანი, რომელიც უჩვენებს ტფილისის ქალაქის მცხოვრებლებს ახალს გზას კეთილ-მდგომარეობის მოსაპოებლათ და იმის გასავრცელებლათ. 1867 წლის 1-ლს იანვრიდამ ქალაქის ახალი გამგეობა დაიწყებს თავის მოქმედებას.

(ბადმოღებულია გაზეთის „ქავკასის“ № 99.)

ტ ფ ი ლ ი ს ი. მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ხელმწიფე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული მობრძანდნენ პეტერბურგიდამ ტფილისს 21 დეკემბერს, მესამე საათზედ, ნაშუადღევს.

პოლიტიკა.

რომიდგან სულ მთლათ გაქრეულა ფრანციის ჯარი. ახლა, როდესაც პაპას პიოს მე იმე-

---

(*) ყველა ამორჩეულის პირების სია დაბეჭდილია ამ ნუმრის დამატებაში.

ლი აღარ უნდა ჰქონდეს გარეგანის შეწევნისა, იმის სამოქალაქო უფლება საუკუნოთ შეირყა. ეს უკანასკნელი აზრი საეჭვო არ არის, როგორც გვიმტკიცებენ სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვა თითონ პიომ იმ დროს, როცა ფრანციის ჯარს გამოესალმა; (იხილე ტელეგრამმა ამ №—ში). ფრანციას იაფათ არ დაუჯდა რომის ტახტის დაცვა; იმან შესწირა მრავალი ფული, კაცები და სხვა, მაგრამ რა უშველა რომის ტახტს? დააფუძნა, რამ სამკვდროთ ფრანციამ იქა? ვგონებთ თითონ პიო IX იყო მიზეზი, რომ 17 წელიწადში ვერა შეიძლორა ფრანციამ.

რას აპირობს ახლა პიო? ამბობენ, ვითომც იმასა სურს გამოსცეს სხვა და სხვა ლიბერალური რეფორმები, ამასთანვე ვითომც უნდა გამოაცხადოს, რომ ფრანციის ჯარის აქამდინ რომში ყოფნა იყოვო მიზეზი, რომ რეფორმები არ გამოაცხადაო პაპამ. მაგრამ ეს ამბავი არ არის დასაჯერი, რადგანაც პიო აქამდინ არ არის ამ დროების კმაყოფილი და ყოველ ლონის-ძიებით ცდილობდა და ცდილობს იმის წინააღმდეგობას და არ ხედავდა იმის საჭიროებას. ის უფრო დასაჯერია, რომ მინამ პიო რომში იქნება, არა ფერი ცვლილება არ გამოვა რა იმის ხელიდგან, რადგანაც იმასა ღონია, რომ იმის გარდა, ყველანი დაბრმავებული არიან და მარტო ის არის მართალი ყოველ მოქმედებაში.

ადრესი, რომელიც ვენგრიის სეიმისგან შემზადებულია ფრანც—იოსებისთვის ძალიან დაჟინებულათ და თავგამოდებით არის დაწერილი; თუმცა იმაში ახალი არა არის რა გამოყვანილი და ადრეც იყო რამდენჯერმე გამოცხადებული ვენგრიის წარმომადგენელებისგან: ადრე სეიმი თაყის საჭიროებას კანონის ძალით მოითხოვდა; ახლაკი ის (სეიმი) კანონის გარდა თავის თხოვნას უფრო მკვიდრათ ეძებს იმ გაჭირებულ მდგომარეობაშიო რა მდგომარეობაშიაც არის ახლა ავსტრია. სეიმი აცხადებს, რომ თუ ავტრიას სურს თავისი შინაური არეულება დააწყნაროს, უნდა ვენგრიას დაუახლოვდესო და იმასთან კავშირი ჰქონდესო. ვინ იცის, იქნება ამ კავშირმა უფრო მალე მოულოს ბოლო ავსტრიას.

ანგლია. ბრაიტის წიგნი. Daily-News-ში დაბეჭდილია ბრაიტის წიგნი, მიწერილი ერთს ეკზეშერის მცხოვრებთან ირლანდიის საქმის შესახებ. აი ის წიგნი:„ მოწყალეო ხელმწიფევ. ბმადლობთ, რომ წიგნი მომწერეთ და გაზეთიც გამომიგზავნეთ. ირლანდიის მიწის-მეპატრონეებმა ძალიან კარგათ იციან, რომ ანგლიის ჯარი ყოველს შემთხვევაში მზათ არის შემწეობა მისცეს იმათ; ამისთვის ირლანდიის მდგომარეობაზედ ისინი სრულებით არა ფიქრობენ და არც უნდათ შეიტყონ ფერმერების აზრი. ჩემგან შედგენილი მიწების გამოსყიდვის პლანი არავის არ აზარალებს. მიწის-მეპატრონენი თავის მამულდედულს ღირებულზედ მომეტებულად გაჰყიდიან. ირლანდიელებიც მამულ—დედულიანნი შეიქმნებიან; მაშინ ისინი უჩვენებდნენ თავის ქვეყანას ღრმა ერთგულებას. ტორები, სამღვდელოება და მიწის-მეპატრონენი წინააღმდეგი არიან იმისი, რაც ირლანდიისთვის სასარგებლოა; იქ გავრცელებულია უკმაყოფილება, დღეს თუ ხვალ რევოლუცია მოხდება; მაგრამ მიწის-მეპატრონეებს მაინც მოსვენებით სძინავთ, რადგანაც იციან, რომ ანგლიის ჯარი იფარავს იმათს შემოსავალს და უფლებას. ჩვენის ქვეყნის მომავალში არაფერი ნუგეშის საცემელი არ იქნება, თუ ყველას არ გაეღო დეპუტატთ-პალატის კარი. ღმერთმა უწყის, ეს როდის მოხდება. მე კი, ჩემის მხრით, ყოველს ღონისძიებას ვხმარობ ამისთვის და იმედი მაქვს ამ მოკლე დროში ცოტაოდენი დაბოლოვება მიეცეს ამ ჩვენს საქმეს. რადგანაც მე ძალიან დიდი მიწერ-მოწერა მაქვს, ამისთვის მაპატიეთ, რომ ასე მოკლე წიგნსა გწერთ და მიიღეთ ჩემგან დარწმუნება თქვენს პატივისცემაში და სხვ. ჯონი ბრაიტი.

როჩდელი, 24 ნოემბერს 1866 წ.

ოსმალეთი. კოსტანტინოპოლის ჟურნალში Lerent Herald დაბეჭდილია ერთი კორრესპონდეცია კრიტიდამ მოწერილი. აი ეს კორრესპონდენცია შემოკლებით;

ოსმალებს და ბერძნებს სტილოსთან ომი მოუხდათ. ბრძოლის შემდეგ ინსურგენტები წავიდნენ მთებში, რომლებიც ამ სოფელს არტყიან. გავიდა რამდენიმე დღე და ოსმალები უკან გამოედევნენ იმათ მთებში. ერთს პატარა სოფელში, სახელად ბაფესში, განდგომილები რიცხვით 8 ასი კაცი ბარრიკადებს მოეფარნენ. ოსმალოს ჯარი მამაცად მიესივა ბერძნების ჯარს. მაგრამ არც ბერძნები დაუვარდნენ. იმათ სეტყვასავით ტყვია დააყარეს და უკან დააბრუნეს ოსმალები. რადგანაც ოსმალებმა ბერძნების ჯარის ფრონტს ვერა დააკლესრა, ამისთვის ისინი ძლიერად დაეტაკნენ ფლანგს. კრიტელები შეშინდნენ, რომ ისინი ოსმალებმა შუაში არ მოიმწყვედიონ და—გაიქცნენ. მაგრამ ვოლონტერები გმირულად იბრძოდნენ. ისინი ნელ—ნელა ჰწევდნენ უკან და იფარავდნენ გაქცეულ კრიტელებს. ამ ომში განდგომილებს მოუკვდათ და დაეჭრათ 80 კაცი; რამდენიმე ვოლონტერი ტყვედ წაიყვანეს. ერთი ვოლონტერი, რომელიც ოსმალებს პირველად ჩაუვარდათ ხელში, სულ ლუკმა-ლუკმა აკუწეს. ამის დანახვით სხვა ტყვეებს გული აენთოთ; იმათ არ უნდოდათ, რომ ამდენი ტანჯვა მიეღოთ და ამისთვის თავისი თავები თითონვე დაიხოცეს. ოსმალებს დაეხოცათ და დაეჭრათ 300 კაცი ქრისტიანები წავიდნენ მთებში და დადგნენ ერთს ხევში ასაიფის სოფელს უკან. ოსმალებმა დააგდეს ხმა, რომ განდგომილებმა დასტოვეს ეს ალაგი და სხვაგან გადასახლდნენ; მაგრამ ეს მართალი არ არის. ისინი დგანან ამავე ადგილას და ფეხიც არ მოუცვლიათ, რადგანაც მაგარი და მიუვალი ალაგია.

გაზეთში „Levant Herald“, რომელიც ოსმალეთში გამოდის ანგლიურს ენაზედ, არის დაბეჭდილი კანდიის კუნძულიდამ მოწერილი წიგნი. ეს წიგნი აღწერს ამ კუნძულის ახლანდელს მდგომარეობას. „სამალავი ადგილები ვერ ჰფარვენ ქალებს და ყმაწვილებს, რომელნიც თავის დასაცველად იქ შესულან; ის ოჯახებიც დახოცვას ვერ გადურჩნენ, რომლებიც ოსმალებს დაუმორჩილდნენ. თერთმეტი უიარაღო კაცი და ქალი ჩაუვარდნენ ხელში დიდს გზაზედ ჩასაფრებულს ოსმალებს; კაცები ყველანი დახოცესო და იმათი ლეშები გადაყარეს გზის ცოტა მოშორებით. კანდიის ქალაქის ახლოს ოსმალებმა მიაგნეს ერთს გამოქვაბულს კლდეს, სადაც დამალულნი იყვნენ ორასამდე ქალები, ყმაწვილები და ბერი-კაცები; ისინი სულ დახოცეს. მეორეს ადგილს ცეცხლით გამოწვეს გამოქვაბულს კლდეში დამალული 15 კაცი, რომელნიც განდგომილებს არ ეკუთვნოდნენ. მე რომ ამბები მივიღე, იქიდამ სჩანს, რომ ბევრნი კანდიელები უწვალებიათ იმ განზრახვით, რომ გამოეტეხნათ, თუ რად დაუმალავთ თავიანთი ქონება. ორი კაცი და ქალი ცოცხლათ დაუწვავთ. ეჭვი არ არის, რომ სამხედრო უფლებას ეს საშუალება იმ განზრახვით მიუღია, რომ ქრისტიანები შეაშინონ და დაიმორჩილონ; ამიტომ კანდიის მუსულმანებს ამგვარის ბარბაროსულის მოქმედების ნება მისცეს. მე შევიტყე ერთის კაცისაგან, რომელიც აქ დიდი ხანი სცხოვრებს და რომელიც დასწრებია 1821-ის წლის რევოლუციაში, რომ თურქების ბარბაროსობამ და ფანატიზმმა ახლანდელს დროში გადააჭარბა იმ სასტიკს მოქმედებასა, რომელიც 45 წლის წინათ იმათ ამოაჩინეს. ის ამბობს, რომ თურქებისაგან ამ უკანასკნელს თვეებში აოხრებული საკუთრება თითქმის უდრის იმ ზარალს, რომელიც იმათ მისცეს საბერძნეთს 1821 წლიდამ 1830 წლამდის. (*) ღვთის გულისთვის და კაცობრიობისთვის ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ ეს ამბავი საქვეყნოდ გამოაცხადოთ. ამდენმა საშინელმა სანახავმა მე კი საკვირველათ დამლალა და მომაუძლურა. მეტის ატანა აღარ შემიძლიან.“ გაზეთმა „Levant Herald“ თავის კორრესპონდენტის თხოვნა აასრულა და ამისთვის ოსმალოს მმართებლობამ იმას დევნა დაუწყო.

გაზეთი Temps სწერს, კანდიის კუნძულზედ მოვიდა ვოლონტერების რაზმი. იმათში ბევრი გარიბალდიელები არიან და არც ფრანცუზები არიან ცოტანი. ამ რაზმის წინამძღვარით არის ერთი ფრანციის უნტერ-ოფიცარი გარიბალდის ჯარში ნამყოფი. ვოლონტერები თავის მემამულეებს სწერენ, რომ ყველანი დაეხმარნენ ბერძნებს იმათ ბრძოლაში თავისუფლებისთვის.

—საბერძნეთის გაზეთებში დაბეჭდილია გარიბალდის წიგნი, რომელიც გამოაცხადებს, რომ, თუ საბერძნეთის სამეზობლო მაზრები ადგებიან ოსმალების უღელის გადასაგდებლათ, შეუძლიანთ ჩემი და ჩემის ამხანაკების შემწეობის იმედი ჰქონდეთო.

—პატრასიდამ (ქალაქია საბერძნეთში) ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ გარიბალდის ვოლონტრები, რომელთაც კანდიელების ადგომაში მონაწილეობა სურთ მიიღონ, ამ ქალაქში მოდიან. იმათ ძლიერ მეგობრულათ დაუხვდებიან ყოველგან საბერძნეთში: სიამოვნებით მიიპატიჟებენ სახლებში, უყლიან, ფულებს აძლევენ, მერმეთ საბერძნეთის ცეცხლის გემებით პირეაში გადაჰყავთ. პატრასში ხმა გავარდა, რომ რამდენიმე ათასი საბერძნეთის საქმისათვის საბრძოლელად გამზადებული გარიბალდელები ბრინდიზში და სამხრეთ-აღმოსავლეთის იტალიაში არიან შეკრებილნი; მაგრამ ყოველს შემთხვევაში მათი შემწეობა დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ როგორ დატრიალდება საპოლიტიკო გარემოება.

ეგვიპტე. 27 ნოემბერს იზმაილ-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა სახალხო წარმომადგენელების რჩევაში. აი ეს სიტყვა: „როდესაც პაპა ჩემი გამეფდა, იმან ჰპოვა ეგვიპტე დიდს შეევიწროებაში. ყოველგან უწესოება სუფევდა. ყველანი შიშში და განსაცდელში იყვნენ. შინაგანი უწესოება უშლიდა პროგრესს და განათლებას და მავნებელი იყო ხალხის კეთილ-დღეობისთვის. მამა პაპამ ჩემმა მიანიჭა ეგვიპტეს ის დაწესებულებანი, რომლებიც შეიქმნენ ჩვენის საზოგადო ცხოვრების დედაბოძად და განუმკიდრებენ ჩვენს მხარეს ბედნიერს მომავალს. იმისი შვილი მხნედ და გულ-მოდგინეთ ეხმარებოდა იმას ამ დიდს საქმეში. ამ ჩვენის ქვეყნის უდიდესმა კაცმა განიზრახა იმგვარი წყობილება მიეცა თავის ქვეყნისთვის, როგორსაც ახალი დროება მოითხოვს. მამა ჩემი მისდევდა თავის მშობლის დიდს მაგალითს; იმას რომ მომეტებული ეცოცხლა, მაშინ ის შეათავებდა და დაბოლოვებდა თავისს დიდს საქმეს. ამ ორის შესანიშნავის მეფობის შემდეგ ეგვიპტეში მოხდა მრავალი ცვლილება. იმ დროდგან, როდესაც ბანგებამ მომანდო მე ჩემის სამშობლოს მართვა და ხელმწიფობა, იმ დროდგან ყოველი წადილი და მოქმედება შევწირე ხალხის კეთილ-დღეობას და სამშობლოს აყვავებას. მე მტკიცედ ვდგევარ იმ გზაზედ, რომელიც ჩემმა წარჩინებულმა მამა-პაპამ მიჩვენეს. ყოველთვის ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობაზედ ვფიქრობდი და ბოლოს დავრწმუნდი, რომ სამშობლოს სასარგებლოდ საჭიროა სახალხო წარმომადგენელების კრება, რომელმაც უნდა განიხილოს უდიდესი შინაგანი საქმეები. ამ გვარიეე კრებანი სხვა სახელმწიფოებშიაც არიან და ყველგან იმათი შრომა დიდათ სასარგებლოა ქვეყნისთვის; ეს დაწესებულება ხალხსა და მმართებლობას მჭიდროთ შეაერთებს ერთად და დაიცავს ყველა ინტერესებს (სარგებლობას). ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ თვითონ ჩვენი სჯული გვეუბნება, რომ „სხვას რჩევა ვთხოვოთ ხოლმე.“ ამის გამო მე მსურს დავაწესო სახალხო წარმომადგინელების კრება, რომელმაც განიხილოს შესანიშნავი შინაგანი საქმეები და დაამტკიცოს ისინი. მე ვიმედოვნებ, რომ იმათში ითქმება ბევრი წითელი და სასარგებლო აზრები. წარმომადგენელები, რომელსაც ხალხი ამოირჩევს, შეიყრებიან ქაიროში ორის თვის ვადით.

„მე ბედნიერი ვარ, რადგანაც მელირსა გამეხსნა სახალხო კრება ამ სამუდამოდ სახსოვარს დღეს. ვმადლობ ღმერთსა, რომელმაც მომცა მე შეწევნა, რომ დამებოლოვებინა ეს დიდი საქმე. მე იმედი მაქვს თქვენს გონივრობაზედ და პატრიოტულს გრძნობაზედ და მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მოლაპარაკება იქნება სასარგებლო ჩვენის ქვეყნის და ხალხისთვის. მე ღმერთსა ვთხოვ, რომ იმან აკურთხოს ყოველი, რასაც ჩვენ მოვიწადინებთ ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისთვის და ვსასოებთ, რომ ღმერთი ყოვლისა მპყრობელი შეგვეწევა ჩვენ, რომ დავიცვათ ჩვენი სამშობლოს პატივი და ღირსება.“

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

კოსტანტინოპოლი, 22 ნოემბერს (4 დეკემბერს.) ოსმალეთის მმართებლობას თორმეტი დღეა, რაც არაფერი ცნობა არ მიუღია კანდიიდამ. რეტიმოსთან ოსმალები დამარცხდნენ. ერთმა ბერძნის მღვდელმა წამალი აფეთქა და 600 კაცი ოსმალოს ჯარისა ჰაერში ასტყორცნა.

კანდიასთან შეემთხვა ზღვის ღელვა ერთს ეგვიპტის ცეცხლის-გემს, რომელზედაც იყო 1,200 კაცი.

ვოლონტერები მიდიან განდგომილებთან მისაშველებლად.

ოსმალოს და ეგვიპტის ჯარის რიცხვი კანდიის კუნძულზედ 60 ათასია.

ფლორენცია 28 ნოემბერს (10 დეკემბერს). გაზეთი Nazione სწერს, რომ პაპამ უთხრა შემდეგი სიტყვა 85 ფრანციის ლინიის ჯარის აფიცრებს, როდესაც ისინი რომიდამ გადიოდნენ:„ ხალხი თანაუგრძნობს ფრანციის ჯარს, რომელიც რომიდგან გადის. მე მსურს, რომ ფრანციის ჯარი ისევ დაბრუნდეს. რომელსაც მე ისეთივე სიხარულით მივეგებები, როგორათაც ახლა იმას ვამგზავრებ. თქვენ წახვალთ თუ არა, ატყდება არეულობა (რევოლიუცია). ამბობენ, რომ იტალია შეერთებულია. არა. იმას ისევ უწინდებული სახე აქვს, რადგანაც არის ერთი ნაჭერი მიწა, რომელზედაც მე ვცხოვრობ. როდესაც ეს მიწის ნაჭერი აღარ იქნება, მაშინ სარევოლუციო ბაირაღი აღიმართება კაპიტოლიაზედ. დაბრუნდით ფრანციაში ჩემი კურთხევით. უთხარით იმპერატორს, რომ მე ყოველთვის ვევედრები ღმერთს, როგორც იმაზედ, ისე იმის სახლობაზედ და მშვიდობაზედ. უთხარით, რომ ისიც თავისის მხრით დაგვეხმაროს. ფრანცია არის უფროსი შვილი რომის ეკკლესიისა; მაგრამ ერთი ტიტული საკმაო არ არის: თავისი საქმითაც უნდა დაგვიმტკიცოს იმან ეს.

კოსტანტინოპოლი. ნოემბერს. (11 დეკემბერს). პორტა დარწმუნდა, რომ ბულგარია უნდა გაეშორონ ოსმალეთს და მომავალის ბულგარიის სამთავროსთვის უნდა ამოირჩიონ მთავრად აბრამოვიჩი ან დიმიტრაკი.

(*) საბერძნეთის რევოლუცია დაიწყო 1821 წელს. ბერძნები გმირულათ ეომებოდნენ თურქებს ცხრა წლის განმავლობაში და ამით თავისუფლება მოიპოვეს 1830 წელს.

ᲕᲔᲜᲐ, 30 ნოემბერს (12 დეკემბერს). დღეს გაზეთში die Presse სწერენ, რომ ᲝᲡმალეთს და საბერძნეთს უეჭველად მოუხდებაო ერთმანეთში დიდი განხეთქილება.

Ionიის კუნძულებზედ ხალხი აღშფოთებულია. Კეფალონიის კუნძულზედ მოხდა უწესოება.

Ტფილისში მიღებული.

19 დეკემბერს. Პარიჟიდამ მოსული ცნობები ამტკიცებენ, რომ იმპერატრიცა Ევგენია Რომში აღარ წავა. Აფიციალური Ვენის „საღამოს Პოჩტა“ აცხადებს, რომ Ანგლიის მმართებლობამ არ მიიღო თავის თავზედ პასუხის-გება კაპიტანის Პიმის მოქმედების გამო, რომელმაც რამდენიმე Ქანდიელები გადიყვანა Სირაკუზში (Sicilia-ის კუნძულზედ) Ანგლიის მმართებლობა მცირე შემწეობასაც არ აძლევს განდგომილებს.—ᲝᲡმალეთის მმართებლობამ ხელ-ახლა გაუგზავნა წარდგინება მფარველს სახელმწიფოებს მაზედ, თუ რა პოლიტიკას მისდევს Საბერძნეთი Ქანდიის საქმეში. ᲝᲡმალეთს და Საბერძნეთს შუა განხეთქილებას მოელიან.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ᲮᲝᲚᲚᲔᲠᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ.

Როცა Პარიჟში ხოლერა იყო, ერთს იქაურს ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერით ავათმყოფი, რომელიც, ის იყო, სულის დალევას აპირებდა; ყოველი ღონისძიება მოიხმარეს მაგრამ იმის უკეთყოფნას არაეშველარა; ავათმყოფმა დაიწყო სიკვდილთან ბრძოლა. Ამ დროს დოკტორმა Ლორასიმ ნება სთხოვა თავის ამხანაგებს, რომ ავათმყოფზედ ერთი-ღა საშუალება კიდევ ეცადნა. Იმან მომაკვდავს ხელი გაუჭრა და ერთნაირის მასრით ოთხასი გრამი წყალი შეასხა იმის ტანში იმ რიგათ, რომ წყალს ტანში ჰაერი არ შეყოლოდა, წყალი იყო კაცის სისხლზედ ათი გრადუსით უფრო ცხელი. Ავათ მყოფს ერთი ტერმომეტრი პირში ჩაუდეს და მეორე მუცელზედ დაადვეს. Ტერმომეტრმა ჯერ ოცდა ექვსი გრადუსი აჩვენა მომოკვდავის კაცის სითბო და, როცა დოქტორმა Ლორასიმ წამლობა გაათავა, მაშინ ტანის სითბო ოცდა ათი გრადუსი შეიქნა. Ერთის სიტყვით მომაკვდავს ტანის ნამდვილი სითბო ისევ დაუბრუნდა; ათმინუტს შემდეგ ავათმყოფმა ლაპარაკი დაიწყო და მეორე დღეს სრულებით მორჩა.

—Საკვირველი მოგზაურობა. Ამერიკელები აპირებენ Პარიჟის საქვეყნო გამოფენაზედ ჰაერის ბურთით მოსვლას. Ამ ბურთს სახელად ერქმევა „Ახალი Ქვეყანა.“

—Დიდიხანი არ არის, რაც ერთმა ახალგაზდა ქალმა Მარია Ბასსეტიმ ღირსებად მიიღო მეცნიერების ბაკალავრობა. (*) Ეს მეორე შემთხვევაა. Ქალი, რომელმაც პირველად მიიღო ეს ღირსება იყო ახალგაზდა ქალი, სახელად Ემმა Ქენიუ. Სიტყვიერებითი მეცნიერების ბაკალავრობას ხომ ბევრი ახალგაზდა ქალი ეღირსა.

—Ერთის Ანგლიელის არისტოკრატის სიმდიდრე.—Მარკიზ Ვესტმინსტერის უძრავი ქონება, უკანასკნელი დაფასებით ერთ მილიარდ ფრანკათ ღირს. Მილიარდი ათასი მილიონია. Ჩვენ ფულზედ რომ ვიანგარიშოთ შეადგენს ორას-ორმოცდა-ათ მილიონს მანეთსა.

—Შენომენი Ანგლიის Პარლამენტში.

